

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის
ოფიციალური ვებ-გვერდის (www.rs.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა
და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 11 აპრილი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.


www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური
www.rs.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით






საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ამასთან, უფროსის სახელი, გვარი, ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები მოცემულია განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ წარმოდგენილ სტრუქტურულ ხეზე:



სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახურის უფროსი



გამზულ ებანოიძე

დაიბადა თბილისში, 1971 წლის 31 ოქტომბერს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. სწავლობდა თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკურ სკოლასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. საუბრობს ქართულად, ინგლისურად და რუსულად.

პროფესიული გამოცდილება

მარტი 2011 – დღემდე — საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, შემოსავლების სამსახურის უფროსი

იანვარი 2009 – მარტი 2011 — საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

ივნისი 2006 – იანვარი 2009 — საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

2005 – 2006 — რამდენიმე დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის დირექტორი

1999 – 2005 — მიწის შესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის დირექტორი

1997 – 1998 — შპს GEO-ს გენერალური მენეჯერი

1997 — შპს NEO-ს ამზომველთა ჯგუფის ხელმძღვანელი


1995 – 1996 — ნაგებობათა დიაგნოსტიკებისა და მონიტორინგის ცენტრის გეოდეზიური ჯგუფის ხელმძღვანელი

1990 – 1995 — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიული თანამშრომელი/უმაღლესი სამეცნიერო თანამშრომელი

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სამსახურის უფროსი“, სადაც განთავსდებოდა უფროსის შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილის ფოტოსურათი, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ამასთან, მოადგილის სახელი, გვარი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები მოცემულია განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ წარმოდგენილ სტრუქტურულ ხეზე:



სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული ქვე-განყოფილება, სათაურად „მოადგილე“, სადაც განთავსდებოდა მოადგილის შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

ამასთან, სამსახურთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ შტატით გათვალისწინებული არის ორი მოადგილის პოზიცია, თუმცა, ამ ეტაპზე მოქმედია მხოლოდ ერთი მოადგილის თანამდებობა. სასურველია, აღნიშნულთან დაკავშირებით, მოცემული იყოს შესაბამისი ინფორმაცია მეორე მოადგილის შესახებ, რომლის ბმულზეც გადასვლისას

მოყვანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: „თანამდებობა დაკავებული არ არის“, „მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან *მისთ*.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. არ მოიძიება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტელეფონის ნომერი და ფაქსის ნომერი:

კონტაქტი • დაგვიკავშირდით

რუკა

დაგვიკავშირდით

სერვის ცენტრები

გაფორმების ეკონომიკური ზონები

გამშვები პუნქტები

ცენტრალური აპარატი
ვ.გორგასლის ქ. #16, 0114

ელ-ფოსტა: info@rs.ge

სახელი

ელ-ფოსტა

შეტყობინება

გაგზავნა

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასახელება:



შეამოწმების
სამსახური

6. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.


ამასთან, სამსახურთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ სამსახური წარმოადგენს საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს, სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს ხსენებულთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია.

7. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შემოსავლების სამსახური“ სასურველია მოყვანილი იყოს სამსახურის მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სამსახურის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების დეტალური აღწერა. ამასთან, სასურველია აგრეთვე შეიქმნას შესაბამისი განცალკევებული ქვე-განყოფილება სათაურად „სამსახურის ფუნქციები“.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა


8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა“ არ არის წარმოდგენილი სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი:



- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ წარმოდგენილ სტრუქტურულ ხეზე მოცემულია სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები:



- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

9. სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს სერვის ცენტრების ელექტრონული ფოსტის მისამართები:

სერვის ცენტრები

თბილისი

ისანი-სამგორის, ძველი თბილისის და დიდგორის სერვის ცენტრი
გულუას ქუჩა N4
2 26 22 21

ვაკე-საბურთალოს სერვის ცენტრი
კოსტავას გამზირი N68ა
2 26 18 48; 2 26 18 44
2 26 18 43; 2 26 18 46
2 26 18 47

დიდუბე-ჩუღურეთის სერვის ცენტრი
აღმაშენებლის გამზირი N140ა
2 26 18 00

გლდანო-ნაძალადევის სერვის ცენტრი
სარაჯიშვილის ქ. N1
2 26 18 27; 2 26 18 29
2 26 18 28; 2 26 18 33
2 26 18 32; 2 26 18 34

რუსთავის სერვის ცენტრი

ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. N36
2 26 21 17

მარნეულის სერვის ცენტრი

ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N80
2 26 22 99

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სათათბირო ორგანოს - მედიაციის საბჭოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „მედიაციის საბჭო“;
- არ მოიძიება მედიაციის საბჭოს ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- არ მოიძიება მედიაციის საბჭოს სტრუქტურისა და შემადგენლობის აღწერა;
- არ მოიძიება მედიაციის საბჭოს სხდომის ოქმები (საოქმო ჩანაწერები);
- არ მოიძიება მედიაციის საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობები.

➤ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

11. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილებებიც), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები და სამსახურის საქმიანობის ამსახველი 2012 წლის კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები.

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადებული ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (მათ შორის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადებული ნაერთი ბიუჯეტის პროექტები და სამსახურის ხარჯთანუსხის შესრულების პერიოდული ანგარიშები) აგრეთვე, დავების დეპარტამენტის მიერ მომზადებული საგადასახადო შეთანხმებების პროექტები, პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტები.

საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ მომზადებული სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტები;

შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ კომპეტენციის ფარგლებში, მომზადებული კანონმდებლობის სრულყოფაზე შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებებისა და პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტები;

ამასთან, განყოფილებაში სათაურად „სიახლე“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პრეს-რელიზები“ განთავსებულ სიახლეების არქივში 2011 წლის თვეების ამსახველი უმეტესობა ბმულების ცარიელია:

მთავარი ჩვენს შესახებ სერვისები კანონმდებლობა **სიახლე** სტატისტიკა სასარგებლო ინფორმაცია მულტიმედია კონტაქტი

სიახლე დეტალურად

პრეს რელიზები

გალერეა

27-იანვარი-2012

GPRS სისტემის საკონტროლო - სალარო აპარატების შეძენის ვადა 5 დღეში იწურება



საქსაგზაო სამსახური

GPRS სისტემის საკონტროლო - სალარო აპარატების შეძენის ვადა პირველ თებერვალს იწურება. უკვე დარეგისტრირებულია **90 000-მდე სალარო აპარატი**. იმ მეწარმეთა რაოდენობა, რომლებსაც ახალი სალარო აპარატი არ აუღიათ, ძალიან მცირეა ამიტომ, შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, დარეგისტრირების ვადა აღარ გადაიწვეს. ვითარებიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, სერვის ცენტრები მთელი საქართველოს მასშტაბით, შაბათ - კვირასაც იმუშავენ. თუმცა, ამ დღეებში მხოლოდ სალარო აპარატების გაცემა იქნება შესაძლებელი. იმ მეწარმეებს, რომლებიც ჩააბარებენ განაცხადს და გადახდის ქვითარს აიღებენ პირველ თებერვლამდე. ახალი სალარო აპარატის აღებაზე, შეუძლიათ ისარგებლონ ძველი მოდელის აპარატით. სხვა შემთხვევაში, პირველი

სიახლეების არქივი

2012	იანვარი
	თებერვალი
2011	მარტი
	აპრილი
	მაისი
	ივნისი
	ივლისი
	აგვისტო
	სექტემბერი
	ოქტომბერი
	ნოემბერი
	დეკემბერი

- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები (არსებობის შემთხვევაში);
- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

შემოსავლების სამსახური რეექსპორტის განვითარებას უწყობს ხელს



შემოსავლების სამსახურმა სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე პირველ ორგანიზაციებს სერთიფიკატები, ხოლო საბაჟო საწყობის მფლობელ ორგანიზაციებს წებართები გადასცა. სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი ორგანიზაციებს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე მიენიჭებათ. ამ სტატუსის მქონე ორგანიზაციები რეექსპორტზე მუშაობენ და საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ.

კერძოდ, გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადისაგან. „ჩვენს კომპანიის ძირითადი მიმართულება რეექსპორტია და 85 პროცენტი ჩვენი ტვირთბრუნვის მოდის რეექსპორტზე. შესაბამისად, სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მიღება საკმაოდ ეფექტური იქნება ჩვენთვის“, - განაცხადა „GD Group“-ის გენერალურმა დირექტორმა ლევან ლანდიამ და აღნიშნა, რომ სიახლის მიმართ არის დიდი ინტერესი, როგორც მყიდველების ასევე. მომწოდებლების მხრიდან, რაც უახლოეს მომავალში საკმაოდ გაზრდის ტვირთბრუნვას, გაიხსნება ახალი საწყობები შესაბამისად, შეიქმნება უფრო მეტი სამუშაო ადგილი და მოხდება დამატებითი ინვესტიცია ქვეყანაში. რეექსპორტს განავითარებს ქვეყანაში საგადასახადო კოდექსში შესული კიდევ ერთი ცვლილება, რომლითაც გამარტივდა საბაჟო საწყობის წებართვის მიღების შესაძლებლობა. მნიშვნელოვნად გამარტივდა საბაჟო საწყობების შექმნისა და მუშაობის პირობები, რაც შეუწყობს ხელს კომპანიებს საქართველოში შემოტანილი ტვირთის დასაწყობებაში და მის შემდგომ რეექსპორტში.

„საკმაოდ გამარტივდა საბაჟო საწყობის წებართვის მოპოვება. აქამდე იყო გარკვეული ეტაპები და დიდი რაოდენობით დოკუმენტაცია წარმოსადგენი, დღეს ეს მიზნობრივად დაცვაილი და საკმაოდ მარტივი პროცედურის შედეგად არის შესაძლებელი მიიღო წებართვა, თუ აქამდე, პუბლიკებში იყო გარანტიის წარდგენა, რომელიც საწყობის ტიპიდან გამომდინარე მერყეობდა 20 ათასი ევრიდან 2 მილიონ ევრომდე და მერყეობდა შედეგად მხოლოდ ერთი საწყობის გახსნა, დღეს შესაძლებელია წებართვის მიღება მხოლოდ აუდიტებული 4 დოკუმენტისა და 200 ათასი ლარის გარანტიის წარდგენით და ერთდროულად რამდენიმე საწყობის გახსნა“, - განმარტა ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მერაბ არახაძემ და დაამატა, რომ მიიხსნა სხვა ბარიერები და შეზღუდვებიც, საწყობის მფლობელი ვალდებული იყო დაეცვა გარკვეული ტექნიკური მოთხოვნები, რაც დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, ამიერიდან კი ერთადერთი მოთხოვნა საწყობში პროდუქციის შეტანა - გამოტანაზე შემოსავლების სამსახურის მუდმივ ელექტრონულ რევიზში ინფორმირება.

გამარტივებული პროცედურებით უკვე ისარგებლა შპს „ლინქსერმა“, კომპანიის დირექტორმა ლევან ზახიამ ზაზი გაუსცა სიახლის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ცვლილებების შემდეგ საბაჟო საწყობის გახსნის წებართვა, გამარტივებული წესით, სამ დღეში მიიღეს.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შემდეგ, საწყობის გახსნა და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მიღებით არაერთი კომპანია დაინტერესდა. ეს სიახლეები სხვადასხვა კომპანიებს დაეხმარება, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ტვირთის დასაწყობება და მისი შემდგომი რეექსპორტი განახორციელონ, რაც წელ-წელა საქართველოს მისცემს სამუშაოს, რომ მნიშვნელოვანი რეექსპორტიორი ქვეყანა გახდეს. ასევე, რეექსპორტზე მომუშავე სავაჭრო კომპანიების შექმნა ხელს შეუწყობს სასაწყობო ინფრასტრუქტურის განვითარებას. საბოლოოდ, ცვლილებებს არა მარტო რეექსპორტის წახალისება და ბაზარზე ახალი სავაჭრო კომპანიების დაფუძნება მოჰყვება არამედ, ზოგადად, ეს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს.

სიახლეების არქივი

2012	იანვარი
2011	თებერვალი
	მარტი
	აპრილი
	მაისი
	ივნისი
	ივლისი
	აგვისტო
	სექტემბერი
	ოქტომბერი
	ნოემბერი
	დეკემბერი

25-ნოემბერი-2011

შემოსავლების სამსახური რეექსპორტის განვითარებას უწყობს ხელს

21-ნოემბერი-2011

შემოსავლების სამსახურმა დამშობილების პროცესის პრევენტაცია გაართა

11-ნოემბერი-2011

შემოსავლების სამსახურის ინიციატივა - ფიზიკური გადამსახური მცირე და საშუალო მწარმოებლებს

08-ნოემბერი-2011

შემოსავლების სამსახურის კიდევ ერთი სერვისი მომხმარებლისათვის

01-ნოემბერი-2011

IV საერთაშორისო ფორუმი - „საბაჟო ადმინისტრაციების როლი „პროცესის გზის“ ქვეყნებში ვაჭრობის წახალისებას და ხელშეწყობაში“

13. განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ანგარიშები“ სასურველია განთავსდეს აგრეთვე სამსახურის საქმიანობის ამსახველი 2012 წლის კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები:

[ჩვენს შესახებ](#) » [ანგარიშები](#)

შემოსავლების სამსახური

სტრუქტურა

დებულება

ანგარიშები

წლიური ანგარიში

2011 წლიური ანგარიში

2010 წლიური ანგარიში

ინფორმაცია Twinning-ის შესახებ

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს

სამსახური. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური (არსებობის შემთხვევაში).

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური.

16. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სასამხურის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით.

მართალია, ხსენებულ განყოფილებაში მოცემულია სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, თუმცა, სასურველია, განთავსდეს აგრეთვე შემდეგი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებიც: სამსახურის უფროსის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სამსახურის შინაგანაწესი, სამსახურის თანამშრომელთა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის აღწერილობა და თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სასურველია აგრეთვე, მოიძიებოდეს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები).

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტი - სამსახურის შინაგანაწესი (რომელიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებაში.

სასურველი ქვე-განყოფილებაში „კანონები“ აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი საკანონმდებლო აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“;



სასურველია განყოფილებაში „კანონმდებლობა“ შესაბამის ქვე-განყოფილებებში მოიძებნოდეს აგრეთვე შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოქმედი დებულება;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნუსხა;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული სამსახურში თანამშრომელთა მიღებისა (მათ შორის, კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესი;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

19. ვებ-გვერდზე სასურველია მოიძიებოდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი) და სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, შემოსავლების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/RS_sajaroinfo.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/infostatistics_shemosavlebi_.pdf).

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამსახურსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამსახურსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები;

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა

გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. **(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, შემოსავლების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:**

http://www.opendata.ge/pdf_files/RS_shesqidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა, 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/shesqidvebi_shemosavlebi.pdf).

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

22. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე)-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები) და აგრეთვე თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

ვაკანსიის განცხადებისა და შესაბამისი აპლიკაციის ფორმის მოძიება შესაძლებელია მხოლოდ ძიების მოდულის მეშვეობით:

მეზნის რეზულტატი: ვაკანს
მეზნის შედეგები 1

ვაკანს

ჩვეულებრივი



მეზნა

მეზნებიდან (1)

1. ვაკანსიები

ხშირად დასმული კითხვებიდან (0)

1C პროგრამის ოპერატორი - ქუთაისი

მზს "აქვა გეო" (წყლის რამოსასხმელი ქარხანა) აცხადებს ვაკანსიას "1C" პროგრამის ოპერატორის თანამდებობაზე.

სამუშაო ადგილი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, მზს "აქვა გეოს" ფილიალში.
სამუშაო დრო: 10:00 საათიდან 19:00 საათამდე.

მოთხოვნები:

• უმაღლესი განათლება.

• საოფისე პროგრამების ცოდნა.

• "1C" პროგრამაში მუშაობის გამოცდილება.

პიროვნული თვისებები:

• ანალიტიკური აზროვნების უნარი.

• ენერგიული, პუნქტუალური და ყურადღებიანი.

• სტრუქტურული სიტუაციებში მუშაობის უნარი.

• კომუნიკაბელური და გუნდთან მუშაობის უნარი.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა გამოგზავნეთ CV და ფოტოსურათი ელექტრონულ ფოსტაზე: hr@aqageo.ge არა უგვიანეს 2012 წლის 12 მარტისა.

აპლიკაციის შევსება

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამსახურისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამსახურის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, შემოსავლების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველი კვარტლის (სამი თვე) ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ

იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/balansi_.pdf;

პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, შემოსავლების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/RS_budget.pdf;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამსახურის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, შემოსავლების სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/RS_xelfasipremia.pdf


აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/xelfasipremia_shemosavlebi.pdf

აგრეთვე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და 40-ე მუხლების საფუძველზე მოთხოვნილ იქნა შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა სია და ინფორმაცია სამსახურის თანამშრომლების ხელფასებსა და პრემიებზე 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/Semosavlebissaia_xelfasipremiai.pdf);


- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა
ვებ-გვერდზე




➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია არ ფუნქციონირებს. მაგ:




➤ ძიება

ვებ-გვერდზე ძიების მოდული დასახვეწია. მასში გამოტანილი შედეგები საკმაოდ რთული გასარჩევია, ამასთან საკვანძო სიტყვების გამუქება არ ხდება. მაგ:



ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსიის ძიების მოდულში ავტომატურად, ნაცვლად ქართული ფონტისა იწერება ინგლისური ფონტით:



➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდზე არსებობს ინსტრუქციები ვიდეო ფორმატში, რაც აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს. მსგავსი ინსტრუქციები იშვიათია ვებ-გვერდებზე. მაგ:



➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ფორმას უნდა ჰქონდეს დამცავი კოდი (Captcha Code), რომელ იც დაიცავს შემოსავლების სამსახურის სერვერს შემოტევებისაგან.

ამჟამად ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი საკონტაქტო ფორმაში არ არის დაცული:

ცენტრალური აპარატი
 ვ.გორგასლის ქ. #16, 0114

ელ-ფოსტა: info@rs.ge

სახელი

ელ-ფოსტა

შეტყობინება

გაგზავნა

➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ბრაუზერ „Safari“-ში საკონტაქტო ფორმის ერთ-ერთი ველი ჩანს დეფორმირებულად. მაგ:

დასვით კითხვა

ელ-ფოსტა:

სახელი გვანი:

საღიარო აპარატი

გაგზავნა




ვებ-გვერდის კუთხეები ყველა ბრაუზერში მომრგვალებულია, გარდა Internet Explorer-ისა.

მაგალითი Firefox-ში:




მაგალითი Internet Explorer-ში:



➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია ვებ-გვერდს არ აქვს. სოციალურ ქსელ Facebook-ში შემოსავლების სამსახურს Fan Page-ი აქვს, თუმცა იგი ყურადღების გარეშე დარჩენილი. მაგ:



➤ ონლაინ სერვისები

ვებ-გვერდზე არსებობს ონლაინ გადახდის საშუალება, რაც აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს. მაგ:

4) საფასურის გადახდის პროცედურა

თანხის გადახდა შესაძლებელია:

- 1) "ონლაინ გადახდის" სერვისით



- 2) განცხადების ID ნომრის მიხედვით

ID ნომერი	შტრიხკოდი
239444	3134654

ამისათვის წარადგენთ ამობეჭდილ დარეგისტრირებულ განაცხადს, რის საფუძველზეც ბანკი განახორციელებს განაცხადის ID ნომრის მიხედვით საფასურის გადახდას და განცხადების გააქტიურებას.

3) ID ნომრის გარეშე (საბანკო გადარიცხვით)

სალაროს საფასური - 290 ლარი გადაიხდ

მიმღები ბანკი: სს "კორ სტანდარდ ბანკი"
ბანკის კოდი: 220101945

მიმღები: სსიპ "შემოსავლების სამსახური"


მიმღების ანგარიში:
GE62 KS00 0000 0000 0999 99

მიმღების საინ/კოდი: 204525585


ტექნიკური მომსახურების საფასური - 15 ლარი (თვეში 5 ლარი) გადაიხდება

➤ უსაფრთხოება

შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდს გააჩნია დაცული პროტოკოლის, (SSL)-ის მხადაჭერა. თუმცა იგი არალიცენზირებულია. მაგ:




ვებ-გვერდი აგენერირებს სურათებს, თუმცა მათი პარამეტრების ფილტრაცია არ ხდება:



მაგალითად ზედა სურათში ხელოვნურად შეცვლილია ცვლადის მნიშვნელობა, რაც ნიშნავს იმას, რომ სერვერმა უნდა დააგენერიროს სურათი, რომლის სიმაღლე იქნება 28,000 პიქსელი. შედეგად სერვერი საკმაოდ იტვირთება. მსგავსი მოთხოვნების ხშირად გაგზავნამ შეიძლება გამოიწვიოს სერვერის პარალიზება;

ვებ-გვერდის გადაცემული ცვლადები არ იფილტრება (GET method). პარამეტრების ხელოვნურად შეცვლის შემთხვევაში ვებ-გვერდს ეკრანზე გამოაქვს შეცდომები:



Server Error in '/' Application.

Runtime Error

Description: An application error occurred on the server. The current custom error settings for this application prevent the details of the error from being displayed to the user.

Details: To enable the details of this specific error message to be viewable on remote machines, please create a <customErrors> tag within "mode" attribute set to "Off".

```
<!-- Web.Config Configuration File -->


<configuration>
  <system.web>
    <customErrors mode="Off"/>
  </system.web>
</configuration>
```

Notes: The current error page you are seeing can be replaced by a custom error page by modifying the "defaultRedirect" attribute of the app


სასურველია მსგავსი შეცდომები აცილებული იქნას თავიდან;

➤ დამატებითი პარამეტრები


ვებ-გვერდის სიახლეების განყოფილებას უნდა ქონდეს ბეჭდვის ფუნქცია, რომელიც ამაჟამად ვებ-გვერდს rs.ge-ზე არ მოიპოვება. მაგ:



ყველა გვერდს საკუთარი დასახელება არ აქვს (Page Title). მაგ:



ასევე გვერდები, რომლებიც გენერირდება სხვადასხვა კატეგორიებში გადასვლის დროს ოპტიმიზირებული უნდა იყოს საძიებო სისტემებისთვის. სამწუხაროდ მსგავსი გენერირებული გვერდის მისამართები, როგორიც არის შემდეგი:



არ არის ხელსაყრელი საძიებო სისტემებისთვის, ასევე მომხმარებლებისათვის.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე დასახვეწია მარტივად აღქმის კრიტერიუმები, გამოსასწორებელია საკონტაქტო ფორმები და წესები, ასევე გასაუმჯობესებელია ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობის კრიტერიუმები. ვებ-გვერდს მცირე ხარვეზები აქვს უსაფრთხოების კუთხით, რომელიც სასურველია მალე გასწორდეს, რადგან საქართველოში საკმაოდ ხშირია კიბერ შემოტევები საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.